

შპს „ჯიფაუერი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 1-4

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები 9
2. მომზადების საფუძველი 9
3. ფუნქციონირებადი საწარმო 10
4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 11
5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია 16
6. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული 17
7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 18
8. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 20
9. ძირითადი საშუალებები 22
10. მარაგები 23
11. სავაჭრო მოთხოვნები 23
12. სხვა მოკლევადიანი აქტივები 24
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
14. საწესდებო კაპიტალი 24
15. ნასესხები სახსრები 25
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 25
17. ამონაგები და მასთან დაკავშირებული შემოსავალი 25
18. ბუნებრივი გაზის თვითღირებულება 26
19. სხვა საოპერაციო ხარჯები 26
20. მომსახურების ხარჯები 26
21. ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები), წმინდა 27
22. პირობითი ვალდებულებები 27
23. ფინანსური რისკის მართვა 28
24. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯიფაუერის“ ფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯიფაუერის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-8 და მე-15 შენიშვნებზე, რომლებშიც აღწერილია დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.



აქციონერს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 14 მარტი

თბილისი, საქართველო



Building a better
working world

აქციონერს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 14 მარტი

თბილისი, საქართველო

შპს „ჯიფაური“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	65,730	67,787
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		244	–
სხვა არამატერიალური აქტივები		–	3
სულ გრძელვადიანი აქტივები		65,974	67,790
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	2,285	2,197
სავაჭრო მოთხოვნები	11	220	2,114
სხვა მოკლევადიანი აქტივები	12	270	165
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	639	213
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,414	4,689
სულ აქტივები		69,388	72,479
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	8,000	8,000
გაუნაწილებელი მოგება		48,040	42,175
სულ საკუთარი კაპიტალი		56,040	50,175
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	12,718	20,932
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	628	1,372
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2	–
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,348	22,304
სულ ვალდებულებები		13,348	22,304
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		69,388	72,479

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 14 მარტს.

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

2025 წლის 14 მარტი
თბილისი, საქართველო

ქრისტინე წერეთელი
ფინანსური მენეჯერი
სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“

2025 წლის 14 მარტი
თბილისი, საქართველო

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯიფაუერი“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები და მასთან დაკავშირებული შემოსავალი	17	28,840	23,663
სხვა შემოსავალი		115	65
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება	18	(13,529)	(9,904)
მომსახურების ხარჯები	20	(1,385)	(1,351)
შრომითი დანახარჯები		(748)	(710)
საგადასახადო ხარჯები		(713)	(723)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(359)	(284)
მოგება ფინანსური შემოსავლის/ხარჯის, მოგების		12,221	10,756
გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე		12,221	10,756
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(3,932)	(3,868)
მოგება ფინანსური შემოსავლის/ხარჯისა და მოგების		8,289	6,888
გადასახადის დარიცხვამდე		8,289	6,888
ფინანსური შემოსავალი	21	44	59
ფინანსური დანახარჯები	21	(2,468)	(3,504)
ფინანსური (დანახარჯები)/შემოსავალი, წმინდა		(2,424)	(3,445)
მოგება დაბეგვრამდე		5,865	3,443
მოგებიდან გადასახადები		–	–
წლის წმინდა მოგება		5,865	3,443
წლის სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,865	3,443

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯიფაური“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,000	38,732	46,732
2023 წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	3,443	3,443
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,000	42,175	50,175
2024 წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	5,865	5,865
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,000	48,040	56,040

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯიფაური“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		5,865	3,443
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		3,932	3,868
ფინანსური შემოსავალი	21	(44)	(59)
ფინანსური დანახარჯები	21	2,468	3,504
მარაგების ზედმეტობა		(63)	(1)
მარაგების მოძველების ხარჯი	19	35	2
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		12,193	10,757
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება		1,894	72
სხვა მოკლევადიანი აქტივების (ზრდა)/შემცირება		(105)	385
მარაგების ზრდა		(123)	(27)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(1,193)	(625)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა		2	–
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		475	(195)
მიღებული პროცენტი		44	52
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		12,712	10,614
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,621)	(2,175)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,621)	(2,175)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები	15	14,331	27,200
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(22,529)	(33,172)
გადახდილი პროცენტი	15	(2,471)	(4,021)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(10,669)	(9,993)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		422	(1,554)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	213	1,774
სავალუტო კურსების ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებზე		4	(7)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	639	213

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები:

2024 წელს შემდეგი არაფულადი მუხლები შევიდა ძირითადი საშუალებების შესყიდვაში: 431 ლარი – ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულებების გაზრდა (2023 წ.: 715 ლარით შემცირება), 79 ლარის ძირითადი საშუალებების გადატანა მარაგებში (2023 წ.: 38 ლარი). გარდა ამისა, 244 ლარის ცვლილება შევიდა 2024 წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში გადახდილ ავანსში (2023 წლის 31 დეკემბერი: ნული).

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ჯიფაური“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 404878977, არის საქართველოში 2010 წლის 16 ნოემბერს დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ფლობდა სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“ („მშობელი საწარმო“). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი საწარმოს აქციების 100%-ს ფლობს სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ აქციების 100%-ს ფლობს „ენერგო-პრო ეი. ეს.“, ხოლო „ენერგო-პრო ეი. ეს“-ის აქციების 100%-ს სრულად ფლობს „DK Holding Investments s.r.o.“. DK Holding Investments S.R.O.-ის აქციების 100%-ის მფლობელია ბატონი იარომირ ტესარი, რომელიც ამასთანავე კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა.

კომპანია ფლობს და ამუშავებს ერთ თბოელექტროსადგურს, სადაც აირტურბინით მიიღწევა 110 მეგავატის დადგმული სიმძლავრე. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფა და აირტურბინით ელექტროენერგიის წარმოება.

გარანტირებული სიმძლავრე უზრუნველყოფს საქართველოს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას. გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის პერიოდსა და მინიმალური გარანტირებული სიმძლავრის ოდენობას არეგულირებს საქართველოს მთავრობა, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის ტარიფებს აწესებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკი“). წარმოებული ელექტროენერგია საქართველოში იყიდება. ეს ელექტროსადგური გამოიყენება ელექტროენერგიის წარმოებისთვის სეზონის პიკური დატვირთვების დროს, როდესაც ბაზარზე სიმძლავრის დეფიციტია, პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24, 0186, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: აღმაშენებლის ქუჩა 2ბ, 1300, გარდაბანი, საქართველო.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაშვებად ნებადართულია გენერალური დირექტორის მიერ. მშობელი საწარმო იღებს გადაწყვეტილებებს წლიური შედეგების დამტკიცების შესახებ და უფლებამოსილია, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგებები მათი გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი აქტივები მის მოკლევადიან ვალდებულებებზე 9,934 ლარით ნაკლებია (2023 წლის 31 დეკემბერი: 17,615 ლარი). 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 5,865 ლარის მოგება (2023 წ.: 3,443 ლარი), ხოლო საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო 12,712 ლარის ფულადი ნაკადები (2023 წ.: 10,614 ლარი). ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. ეს შეფასება ითვალისწინებს შემდეგს:

- ▶ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ნასესხები სახსრები მთლიანად საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან აქვს მიღებული. ხელმძღვანელობამ თავისი მშობელი საწარმოსგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სხვა საწარმოებისგან მიიღო რწმუნება ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, მათ შორის, და არა მხოლოდ, საჭიროების შემთხვევაში არსებული სესხების ვადის გაგრძელების შესახებ, რათა კომპანიამ შეძლოს განჭვრეტად მომავალში ჩვეული საქმიანობის გაგრძელება;
- ▶ კომპანია საქმიანობას ეწევა სატარიფო რეგულირების სფეროში;
- ▶ წარმოებული ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ტარიფები განისაზღვრება ისე, რომ კომპანიამ შეძლოს თავის ინვესტიციაზე რეგულირებული დონის უკუგების მიღება.
- ▶ 2024 წლის 19 დეკემბრით დათარიღებული N39 რეგულაციის თანახმად, სემეკმა დაადგინა გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი კომპანიისთვის დღეში 41,419 ლარის ოდენობით, რაც შესაბამისობაშია კომპანიის მოლოდინებთან. ტარიფი ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 ივლისამდე;
- ▶ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 65,000 ლარის აუთვისებელი საკრედიტო ხაზი მშობელი საწარმოსგან და 52,282 ლარი – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან.

ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან ცვლილებას შემოსავალსა და საოპერაციო ფულად ნაკადებში 2025 წელს.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) ფინანსური აქტივები

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და ოპერაცია მიმართულია ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის რეალიზაციით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისკენ. ეს არის კომპანიის მთავარი მიზანი და ყოველდღიური საქმიანობა. წარსულში კომპანიას არასდროს გაუყიდა თავისი ფინანსური ინსტრუმენტები. ყველა ფინანსურ აქტივს ის ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და მათ კლასიფიკაციას ახდენს პირველ ბიზნესმოდელში – ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად (H2C).

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც კომპანიას ეკუთვნის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით.

იმ კრედიტების შემთხვევაში, სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის მოვლენით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის წარმოიშობა დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ქმნის ნაღდი ფულისა და ბანკში განთავსებული ნაშთებისთვის. კომპანია საკრედიტო რისკს მნიშვნელოვნად გაზრდილად მაშინ მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულების მიხედვით გადახდები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტის მდგომარეობაში მყოფად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდა 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი დეფოლტის მდგომარეობაში მყოფად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული კრედიტის საგარანტიო საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება და ზარალის ოდენობა განისაზღვრება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე წლის მოგებაში ან ზარალში.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (15 შენიშვნა) და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს (16 შენიშვნა).

საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

(ბ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ მონაცემებს.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებისთვის შექმნილი რეზერვების გამოკლებით, სადაც საჭიროა.

(ii) ცვეთა

მიწისა და დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთა გამოანგარიშდება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობები	20–30
ტექნიკური აღჭურვილობა და დანადგარები	15–45
სხვა აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	5–10
სხვა ძირითადი საშუალებები	5–12

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას.

(ე) გადასახადები

(i) მოგებიდან გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა, არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. თუ კომპანია გაანაწილებს დივიდენდებს, რომლებიც მიღებულია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგებიდან, მას შეუძლია გამოქვითოს ამ პერიოდებში დარიცხული ან გადახდილი მოგების გადასახადის თანხები, მაგრამ მაქსიმუმ იმ ოდენობით, რომელიც გადასახდელია განაწილებული მოგების შესაბამისად. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო ვალდებულება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს პირობით მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „*მოგებიდან გადასახადები*“ მოქმედების არეალს, აღირიცხება საოპერაციო გადასახადების მსგავსად და აისახება, როგორც საგადასახადო ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) გადასახადები (გაგრძელება)

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შეძენის ღირებულების ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან ჩასათვლელი ან მისთვის გადასახდელი დღგ-ის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

(iii) დაუზუსტებელი საგადასახადო პოზიციები

კომპანიის დაუზუსტებელ საგადასახადო პოზიციებს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ექვემდებარება დააყენებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს.

(ვ) მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება თითოეული პარტიისთვის ინდივიდუალურად გამოითვლება. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა გასაყიდი ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეული საქმიანობის პროცესში, რომელსაც აკლდება დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

4. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე ანაზრებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადა, მაქსიმუმ, სამი თვეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

(თ) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული სამეურნეო სუბიექტის სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად სებ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან დანახარჯები.

(ი) ამონაგების აღიარება

წარმოებული ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროის მომენტში, მრიცხველის ჩვენების მიხედვით წარმოებული ელექტროენერგიის რაოდენობისა და სემეკის მიერ დადგენილი ტარიფების ნამრავლის სახით;

გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია არის გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის რეჟიმში და მზად არის, აწარმოოს ელექტროენერგია საკუთარი მაქსიმალური სიმძლავრით. გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის დღეების მინიმალურ რაოდენობას და გარანტირებული სიმძლავრის ფიქსირებულ ტარიფებს ადგენს სემეკი.

5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც კომპანიის საქმიანობისთვის აქტუალურია და 2024 წლის 1 იანვრისთვის შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ ან „გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური პირობებით“ – ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში;
- ▶ საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში – ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში;
- ▶ განმარტებითი შენიშვნები: ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში.

5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია აპირებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებას მომავალ პერიოდებზე, თუ ისინი ძალაში შევა.

ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ გაიგონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკის მოცულობაზე.

6. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

6. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად.

გარდა ამისა, ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება ან ზარალი“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს-ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10-ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც.

7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე და ასევე პირობითი ვალდებულებების შესახებ განმარტებებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ა) მოსაზრებები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, ხელმძღვანელობამ გამოიყენა შემდეგი განსჯა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

(i) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარება

ჩვეული საქმიანობის პროცესში კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. თუ გარკვეული ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა თავად განსჯის, ეს ოპერაციები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის განფასებული თუ არასაბაზროთი. განსჯისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა დაუკავშირებელ (მისგან დამოუკიდებელ) მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში.

(ბ) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში მომხდარი ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა განსჯის საგანია, მსგავსი აქტივებისგან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ აქტივებში ჩართული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარება, მეტწილად, მათი ექსპლუატაციით ხდება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში ჩართული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს აფასებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობაზე და იმ სავარაუდო პერიოდზე დაყრდნობით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივისგან სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება ხდება: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება საბაზრო პირობების ცვლილების გამო.

2024 წელსა და 2023 წელს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები არ გადასინჯულა.

8. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2024 და 2023 წლებში კომპანიას ჰქონდა ნაშთები და გარიგებები შემდეგ დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული მხარის სახელწოდება	ურთიერთობა
ენერგო პრო ეი. ეს., ჩეხეთის რესპუბლიკა	მშობელი საწარმოს მფლობელი
სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“	მშობელი საწარმოს პირდაპირი მფლობელი
სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“	მშობელი საწარმო
სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	საერთო კონტროლს
სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“	დაქვემდებარებული საწარმო
	საერთო კონტროლს
MEGAWATT SERVIS-ის წარმომადგენლობა საქართველოში	დაქვემდებარებული საწარმო
	საერთო კონტროლს

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

31 დეკემბერი, 2024 წ.			
მშობელი საწარმო	მშობელი საწარმოს პირდაპირი მფლობელი	მშობელი საწარმოს მფლობელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ნასესხები სახსრები (15 შენიშვნა)	–	–	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	44	490
სავაჭრო მოთხოვნები	–	–	–
			12,718
			3
			2

ოპერაციები, მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

31 დეკემბერი, 2024 წ.			
მშობელი საწარმო	მშობელი საწარმოს პირდაპირი მფლობელი	მშობელი საწარმოს მფლობელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
მარაგებისა და აღჭურვილობის შეძენა	–	–	1,617
ფინანსური დანახარჯები (21 შენიშვნა)	–	–	–
მომსახურების ხარჯები	98	418	–
სხვა შემოსავალი	–	–	–
			8
			2,455
			33
			20

8. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ნასესხები სახსრები (15 შენიშვნა)	–	20,932
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1
სავაჭრო მოთხოვნები	–	1,249

გარიგებები, მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2023 წ.			
	მშობელი საწარმო	მშობელი საწარმოს პირდაპირი მფლობელი	მშობელი საწარმოს მფლობელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
მარაგებისა და აღჭურვილობის შეძენა	24	–	1,145	9
ელექტროენერგიის გაყიდვა	–	–	–	9,082
ფინანსური დანახარჯები (21 შენიშვნა)	1,481	–	–	2,023
მომსახურების ხარჯები	101	525	–	33
სხვა შემოსავალი	–	–	–	14

კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა ხორციელდება მშობელი საწარმოს პირდაპირი მფლობელის მიერ და გადანაწილდება, როგორც პროფესიული მომსახურების ღირებულება, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია მომსახურების ხარჯებში.

შპს „ჯიფაუერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილების დინამიკა ასეთია:

	სხვა ტექნიკური აღჭურვი- ლობა, დაუმთავრ- ებელი მშენებ- ლობა					სხვა ძირითადი საშუა- ლებები	სულ
მიწა და შენობა- ნაგებობები	ვილობა და დანად- გარები	ავეჯი და მოწყობი- ლობები	დაუმთავრ- ებელი მშენებ- ლობა	აქტივის გამოყე- ნების უფლება			
თვითღირებულება							
1 იანვარი, 2023 წ.	1,431	104,977	705	1,616	6	778	109,513
შემოსვლები	–	419	45	956	–	78	1,498
გასვლები	–	(21)	(268)	–	(6)	(40)	(335)
შიდა გადაცემა	–	711	59	(773)	–	3	–
რეკლასიფიკაცია	967	(973)	(94)	–	–	100	–
31 დეკემბერი, 2023 წ.	2,398	105,113	447	1,799	–	919	110,676
შემოსვლები	–	203	61	1,483	–	147	1,894
გასვლები	–	(12)	–	–	–	(13)	(25)
შიდა გადაცემა	–	844	–	(877)	–	33	–
რეკლასიფიკაცია	–	41	(120)	–	–	79	–
31 დეკემბერი, 2024 წ.	2,398	106,189	388	2,405	–	1,165	112,545
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2023 წ.	(633)	(37,963)	(348)	–	(6)	(92)	(39,042)
ცვეთის ხარჯი	(88)	(3,541)	(77)	–	–	(161)	(3,867)
ჩამოწერისას ელიმინირებული	–	7	–	–	6	7	20
რეკლასიფიკაცია	(407)	340	74	–	–	(7)	–
31 დეკემბერი, 2023 წ.	(1,128)	(41,157)	(351)	–	–	(253)	(42,889)
ცვეთის ხარჯი	(88)	(3,597)	(79)	–	–	(168)	(3,932)
ჩამოწერისას ელიმინირებული	–	6	–	–	–	–	6
რეკლასიფიკაცია	–	(2)	56	–	–	(54)	0
31 დეკემბერი, 2024 წ.	(1,216)	(44,750)	(374)	–	–	(475)	(46,815)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
1 იანვარი, 2023 წ.	798	67,014	357	1,616	–	686	70,471
31 დეკემბერი, 2023 წ.	1,270	63,956	96	1,799	–	666	67,787
31 დეკემბერი, 2024 წ.	1,182	61,439	14	2,405	–	690	65,730

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუმთავრებელ მშენებლობაში ასევე შედის დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, ანუ ის მოწყობილობები და მასალები, რომლებიც ჯერ არ მიღებულია ექსპლუატაციაში.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება, შესაბამისად, დაახლოებით 284 ლარს და 298 ლარს შეადგენდა.

შპს „ჯიფაური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

10. მარაგები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სათადარიგო ნაწილები	967	1,031
ხელსაწყოები და ჭანჭიკები	672	618
საპოხ-საცხები მასალები	157	133
კაბელები და მავთულები	70	68
სხვა	419	347
მარაგები, სულ	2,285	2,197

11. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გარანტირებული სიმძლავრის რეალიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები	183	863
წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები	35	1,249
სხვა მოთხოვნები	2	2
სულ სავაჭრო მოთხოვნები	220	2,114

(ა) გარანტირებული სიმძლავრის რეალიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები არსებობს ერთი მომხმარებლის, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი (ესკო), მიმართ, რომელიც არის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი.

(ბ) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები მთლიანად არის მიკუთვნებადი ესკოსთვის, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის (8 შენიშვნა).

დაუფარავ სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

ანალიზი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

	30-დან 90	91-დან 180	180-ზე მეტი	
	30 დღემდე	დღემდე	დღემდე	დღით
31 დეკემბერი, 2024 წ.	ვადაგადაუ- ცილებელი	ვადაგადა- ცილებული	ვადაგადა- ცილებული	ვადაგადა- ცილებული
დეფოლტის დროს მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება, სულ	220	–	–	–
მოსალოდნელი ზარალის დონე	0%	0%	0%	100%
არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	–

შპს „ჯიფაური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

11. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2023 წ.	ვადაგადა- ცილებელი	30 დღემდე ვადაგადა- ცილებული	30-დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილებული	91-დან 180 დღემდე ვადაგადა- ცილებული	180-ზე მეტი დღით ვადაგადა- ცილებული	სულ
დეფოლტის დროს მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება, სულ	2,114	–	–	–	–	2,114
მოსალოდნელი ზარალის დონე	0%	0%	0%	0%	100%	
არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	–	–	–

12. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
წინასწარ გადახდილი გადასახადი	147	109
გადახდილი ავანსები	102	38
სხვა გადახდილი ავანსები	21	18
სხვა მოკლევადიანი აქტივები, სულ	270	165

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ნაღდი ფული:		
ლარში გამოხატული	11	11
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში:		
ლარში გამოხატული	618	199
აშშ დოლარში გამოხატული	6	–
ევროში გამოხატული	4	3
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	639	213

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში შედგება საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებისგან. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს დაერიცხა 44 ლარის საპროცენტო შემოსავალი 2024 წელს (2023 წ.: 52 ლარი) (21 შენიშვნა).

14. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მთლიანი საწესდებო კაპიტალი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8,000 ლარს შეადგენდა.

2024 და 2023 წლებში განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები.

შპს „ჯიფაური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

15. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“	12,718	20,932
ნასესხები სახსრები, სულ	12,718	20,932

2022 წელს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს სს „ეპ ჯორჯია მიწოდებასთან“ და სს „ეპ ჯორჯია გენერაციასთან“. საკრედიტო ხაზების ძირითადი თანხის ლიმიტები, შესაბამისად, შეადგენდა 22,000 ლარს და 15,000 ლარს. საკრედიტო ხაზი ორივე კომპანიასთან 65,000 ლარამდე გაიზარდა.

ნასესხები სახსრების ცვლილების დინამიკა 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის განმავლობაში ასე გამოიყურებოდა:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	20,932	27,421
შემოსვლები წლის განმავლობაში	14,331	27,200
წლის საპროცენტო ხარჯი (21 შენიშვნა)	2,455	3,504
გადახდილი პროცენტი	(2,471)	(4,021)
სესხის ძირითადი თანხის დაფარვა	(22,529)	(33,172)
31 დეკემბრის მდგომარეობით	12,718	20,932

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
შეძენილ ძირითად საშუალებებში და მარაგებში გადასახდელი თანხები	490	59
მომსახურებაში გადასახდელი საზღაური	89	48
შესყიდულ ბუნებრივ აირთან დაკავშირებული დავალიანება	42	1,254
სხვა	7	11
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	628	1,372

17. ამონაგები და მასთან დაკავშირებული შემოსავალი

	2024	2023
გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვა	15,300	13,729
წარმოებული ელექტროენერგიის გაყიდვა	13,540	9,934
სულ ამონაგები	28,840	23,663

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგებთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 220 ლარი (11 შენიშვნა) (2023 წლის 31 დეკემბერი: 2,114 ლარი).

შპს „ჯიფაური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

18. ბუნებრივი გაზის თვითღირებულება

	2024	2023
შესყიდული გაზი	(13,163)	(9,505)
გაზის ტრანსპორტირება	(366)	(399)
სულ შესყიდული ენერგია	(13,529)	(9,904)

გაზის შესყიდვის ტარიფი გამოხატულია აშშ დოლარში, ხოლო წარმოების ტარიფები გამოხატულია ლარში და ყოველთვიურად ქვეყნდება სემეკის მიერ ამავე პერიოდის მხოლოდ გაზის შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების და რეგულირების საფასურის დასაფარად.

19. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ესკოს მომსახურების საფასური	(92)	(92)
სემეკის რეგულირების საფასური	(87)	(71)
მარაგების მოძველების ხარჯი და ჩამოწერა	(35)	(2)
მასალებზე გაწეული ხარჯები	(30)	(18)
მოხმარებული საოფისე მარაგები	(27)	(31)
სამივლინებო ხარჯი	(8)	(8)
სხვა	(80)	(62)
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	(359)	(284)

20. მომსახურების ხარჯები

	2024	2023
პროფესიული მომსახურების ღირებულება	(473)	(575)
დაზღვევა	(367)	(329)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(263)	(218)
კომუნალური ხარჯები	(228)	(192)
საიჯარო ხარჯი	(19)	(19)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(3)	(3)
სხვა	(32)	(15)
სულ მომსახურების ხარჯები	(1,385)	(1,351)

პროფესიული მომსახურების გასამრჯელოში შესული 418 ლარი (2023 წ.: 525 ლარი) მიეკუთვნება სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგს“, რომელიც სწევს ადმინისტრაციულ მომსახურებას.

შპს „ჯიფაური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

21. ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები), წმინდა

	2024	2023
დარიცხული საპროცენტო ხარჯი (8 შენიშვნა)	(2,455)	(3,504)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(13)	–
ფინანსური დანახარჯები	(2,468)	(3,504)
საპროცენტო შემოსავალი ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან (13 შენიშვნა)	44	52
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	–	7
ფინანსური შემოსავალი	44	59
ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები), წმინდა	(2,424)	(3,445)

22. პირობითი ვალდებულებები

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად წარმოქმნილი პოტენციური ვალდებულებების შეფასება შეუძლებელია, მაგრამ მათ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორც საქართველოა, განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებულ რისკებს ატარებს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული კანონები და ნორმატიული აქტები სწრაფად იცვლება, ხოლო საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე მოვლენები.

ბოლო ორ წელიწადში საქართველოში მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, ძირითადად, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აღმოსავლეთის პარტნიორობის კოლექტიური პოლიტიკური ინიციატივის მიხედვით. 2024 და 2023 წლებში მომხდარმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ამისთვის ნიადაგი კი მოამზადეს, მაგრამ მომავალში ცვლილებები კიდევ არის მოსალოდნელი.

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

საქართველომ დაამტკიცა ახალი კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ (შემდგომში – „კანონი“), ხოლო 2019 წლის დეკემბერში – კანონი „განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ“, და საფუძველი ჩაუყარა ენერგოსექტორის რეფორმას ენერგოსაზოგადოების საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ახალი კანონი ითვალისწინებს დამოუკიდებელი, კონკურენტუნარიანი და ლიკვიდური ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც მოიცავს გადაცემისა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების გამიჯვნასა და სერტიფიცირებას, და ჰიდროელექტროსადგურების (ჰესების) შემდგომ ლიბერალიზაციას. ჰესებიც ელექტროენერგიის წარმოების ბაზრის მონაწილეები არიან და ეს ლიბერალიზაცია კომპანიაზეც პირდაპირ აისახება. 2021 წლის 28 დეკემბერს, ახალი კანონის თანახმად, ყველა თბოელექტროსადგურს დაეკისრა საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება. დღით ადრე, დღიური, საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრების შექმნის მიუხედავად, რომლებიც 2024 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა, ჯერ კიდევ გაურკვეველია, თბოელექტროსადგურები როგორ მიიღებენ მათში მონაწილეობას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ თბოელექტროსადგურები მონაწილეობას მიიღებენ დღით ადრე ბაზარში, ეს საგრძნობლად აისახება როგორც საბაზრო ფასზე, ისე ბაზრის მონაწილეებზე. მოსალოდნელია, რომ კომპანია ტენდერის გარეშე უზრუნველყოფს მხოლოდ გადაუდებელ სარეზერვო პროდუქტებს გადამცემი სისტემის ოპერატორის მოთხოვნით. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი და ამონაგები უცვლელი დარჩება.

23. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელმა ვერ შეასრულოს ან დროულად ვერ შეასრულოს კომპანიის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და ამის გამო კომპანიას მიაყენოს ფინანსური ზარალი. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად, სავაჭრო მოთხოვნები, ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში) და საინვესტიციო საქმიანობიდან გამომდინარე, გაცემული სესხების ჩათვლით.

შპს „ჯიფაური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2024 წ.	შენიშვნა	გარე საკრედიტო რეიტინგი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
		მითითებული არ არის			
სავაჭრო მოთხოვნები (i)	11		220	–	220
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (ii)	13	BB–	628	–	628
31 დეკემბერი, 2023 წ.	შენიშვნა	გარე საკრედიტო რეიტინგი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
		მითითებული არ არის			
სავაჭრო მოთხოვნები (i)	11		2,114	–	2,114
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (ii)	13	BB–	202	–	202

- (i) კომპანიას აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაციები. 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების 99% და 41%, შესაბამისად, მოდიოდა ერთ კონტრაქტზე – ესკოზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი, ვინაიდან კონტრაქტის ბაზრის სახელმწიფო ოპერატორია. მოთხოვნების დანარჩენი ნაწილი მიკუთვნებადია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის.
- (ii) ამ დეპოზიტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მთლიანად 1-ელ სტადიას მიეკუთვნება.

(ბ) საბაზრო რისკი

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია უცხოურ ვალუტაში და პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეყრდნობა ცვლილებას ერთ ფაქტორში, როდესაც ყველა დანარჩენი ფაქტორი მუდმივია. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და გარკვეულ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს – მაგალითად, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსების ცვლილება.

შპს „ჯიფაური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ლარში

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) სავალუტო რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის მერყეობის რისკის მოცულობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	849	12,858	(12,009)	2,324	22,245	(19,921)
აშშ დოლარი	6	–	6	–	59	(59)
ევრო	4	490	(486)	3	–	3
სულ	859	13,348	(12,489)	2,327	22,304	(19,977)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. არაფულადი აქტივები არ ითვლება არსებითი სავალუტო რისკის გამომწვევად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
ევროს გამყარება 20%-ით	(97)	1
ევროს გაუფასურება 20%-ით	97	(1)
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	1	(12)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(1)	12

რისკის მოცულობა გამოთვლილია მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც გამოხატულია კომპანიის შესაბამისი სამეურნეო ერთეულის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში.

(დ) საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად, რადგან კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებული განაკვეთები აქვს.

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**(ე) ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. კომპანიის ლიკვიდურობის მართვის შესახებ უფრო დაწვრილებით მოთხრობილია მე-3 შენიშვნაში.

ცხრილში მოცემულია ვალდებულებები 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (15 შენიშვნა)	–	13,089	–	–	13,089
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (16 შენიშვნა)	628	–	–	–	628
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	628	13,089	–	–	13,717

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (15 შენიშვნა)	1,900	19,609	–	–	21,509
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (16 შენიშვნა)	1,372	–	–	–	1,372
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	3,272	19,609	–	–	22,881

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში დაწყებული 2024 წლის 31 დეკემბრიდან. ვალდებულებების დაფარვის თაობაზე კომპანიის გეგმები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ხელმისაწვდომი აქვს 65,000 ლარის აუთვისებელი საკრედიტო ხაზი მშობელი საწარმოსგან (2023 წლის 31 დეკემბერი: 65,000 ლარი) და 52,282 ლარი – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან (2023 წლის 31 დეკემბერი: 44,083 ლარი).

(ვ) კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანია საკმარისი კაპიტალის შენარჩუნება, რომ დამაკმაყოფილებლად წარმართოს თავისი ოპერაციები. კომპანიას არ უხდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნების დაკმაყოფილება.

24. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ელი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა ემპირიულ საბაზრო მონაცემებს (ანუ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს). ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებებს საჭიროებენ, აღნიშნული შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანად სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან მიმართებით.

24. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შესაბამისი დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება და საბალანსო ღირებულება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით:

	დონე	31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები					
(15 შენიშვნა)	დონე 3	12,718	12,695	20,932	20,975

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, ნასესხები სახსრების გარდა, საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი სამართლიანი ღირებულებისგან.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით.

gPower

შპს „ჯიფაური“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ჯიფაურის“ ფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 14 მარტს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებთ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

12 ივნისი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო


ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ჯიფაურის“ ფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 14 მარტს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

12 ივნისი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

მმართველობითი ანგარიშგება

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ძირითადი საქმიანობა და მარეგულირებელი ჩარჩო

შპს ჯიფაუერის („კომპანია“) ძირითადი საქმიანობა ელექტროენერგიის წარმოება და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს უზრუნველყოფაა. თბოელექტროსადგური (თესი) ამჟამად გამოიყენება ელექტროსისტემის დამატებითი მომსახურებისთვის. ეს ელექტროსადგური გამოიყენება ელექტროენერგიის წარმოებისთვის სეზონის პიკური დატვირთვების დროს, როდესაც ბაზარზე სიმძლავრის დეფიციტია. ვინაიდან კომპანიის ელექტროსადგური მხოლოდ პერიოდულად ფუნქციონირებს, იგი შემოსავალს ორი წყაროდან იღებს: (i) სარეზერვო სიმძლავრის ტარიფი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ქსელისთვის ხელმისაწვდომ გარანტირებულ სიმძლავრეს; და (ii) შემოსავალი ელექტროენერგიიდან, რომლითაც იფარება სადგურის ექსპლუატაციის ცვლადი დანახარჯები.

საქართველოს ახალი კანონის „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საფუძველზე, ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობისთვის, უსაფრთხოებისა და საიმედოობისთვის, მათ შორის, ელექტროენერგიის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ელექტროენერგიის ერთ ან რამდენიმე მწარმოებელს დააკისროს ვალდებულება, შეინარჩუნოს ელექტროენერგიის წარმოების გარანტირებული სიმძლავრე. გადაწყვეტილებას გარანტირებული სიმძლავრის წყაროს გამოყენებაზე, გარანტირებული სიმძლავრის წარმოების მოცულობასა და მისი გამოყენების მიზანშეწონილობაზე დამოუკიდებლად იღებს გადაცემის სისტემის ოპერატორი. ამრიგად, გარანტირებული სიმძლავრის წყარო ვალდებულია, განახორციელოს ელექტროენერგიის მიწოდება საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში. 2021 წლის 28 დეკემბერს, ახალი კანონის თანახმად, ყველა თბოელექტროსადგურს დაეკისრა საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება. ჯიფაუერი ამჟამად აწვდის 110 მგვტ სიმძლავრეს აირტურბინული თბოელექტროსადგურის მეშვეობით, საიდანაც 60 მგვტ გარანტირებული სიმძლავრეა.

გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა დასაშვებია მხოლოდ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (შემდგომში „ესკო“) მეშვეობით, რომელიც ყიდულობს და შესაბამის შესყიდვის ფასს იხდის მხოლოდ მაშინ, როდესაც გარანტირებული სიმძლავრის წყაროს აღიარებს საქართველოს მთავრობა და მისი მზადყოფნა შემოწმდება და დადასტურდება გადაცემის სისტემის ოპერატორის მიერ. ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზიების გაცემის შესახებ № 23 დადგენილების თანახმად, ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია განუსაზღვრელი ვადით გაიცემა. კომპანია ამ ლიცენზიას ფლობს.


საქართველოს კანონის „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ მიხედვით, საქართველოს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემის რეგულირება დაეკისრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას („სემეკი“), ასევე დაევალა ლიცენზიანტიების, იმპორტიორების, ექსპორტიორების, ბაზრის ოპერატორებისა და მიმწოდებლების საქმიანობის რეგულირება, ენერგობაზრების მონიტორინგის უფლების ჩათვლით. ამავე კანონის მიხედვით, ტარიფის და საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიას ადგენს სემეკი. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით, სემეკი ტარიფებს ადგენს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდების, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის, ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, გარანტირებული სიმძლავრის წყაროთი უზრუნველყოფისთვის. ტარიფებს ამტკიცებს სემეკი, რომელიც არის „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ორგანო და არ არის შექმნილი სახელმწიფო ქონების საფუძველზე.

ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში


ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში სამ სეგმენტად იყოფა: ჰიდროელექტროსადგურები (ჰესები), თბოელექტროსადგურები (თესები) და ქარის ელექტროსადგურები (ქესები). საქართველოს ჰიდროელექტროენერგიის წარმოების დიდი სიმძლავრე აქვს, შესაბამისად, წარმოების დიდი წილი მოდის ჰიდროელექტროსადგურებზე, ხოლო 19.8% – თბოელექტროსადგურებზე. ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემები დადგმული სიმძლავრის და ელექტროენერგიის წარმოების შესახებ:

ცხრილი № 1

გამომუშავებული ელექტროენერგია
2024 წელს
(ტვტ/სთ)

**ცხრილი № 2**


დადგმული სიმძლავრე (მგვტ)



თბოელექტროსადგურების ბაზრის სტრუქტურა შედგება ხუთი თბოელექტროსადგურისგან (თბილსრესის ბლოკი მოიცავს #3 და #4 ბლოკებს), რომელთაგან ერთს კომპანია ფლობს. 2024 წელს თბოელექტროსადგურების მთლიანი წარმოება იყო 2,812.2 გვტსთ, საიდანაც 76.7 გვტსთ აწარმოა კომპანიამ, რაც თბოელექტროსადგურების მთლიანი გენერაციის 3%-ია.

ცხრილი № 3


გამომუშავებული ელექტროენერგია



ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში (გაგრძელება)

ჰესების, თესებისა და ქესების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გადაცემას და განაწილებას ახორციელებენ გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები. 2021 წლის 1 ივლისამდე, ელექტროენერგიის საცალო ბაზარზე ელექტროენერგიის გაყიდვას ახორციელებდნენ განაწილების ლიცენზიატები კომისიის მიერ დადგენილი ტარიფებით. 2021 წლის 1 ივლისის შემდგომ მოხდა მიწოდებისა და განაწილების ფუნქციების გაყოფა (განცალკევება), რის შედეგადაც ჩამოყალიბდნენ ახალი ბაზრის მოთამაშეები, ელექტროენერგიის მიმწოდებლები. სამიზნე ბაზრის სტრუქტურა, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2025 წლის 1 ივლისიდან, მოცემულია ქვემოთ, №4 ცხრილში. დღით ადრე და დღიური ბაზრები გაიხსნა 2024 წლის 1 ივლისს, ელექტროენერგიის ყიდვა/გაყიდვა ბირჟაზე ნებაყოფლობითი ხასიათისაა.

ცხრილი № 4



მიმდინარე საკანონმდებლო ჩარჩოთი, საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის ძირითადი ნაწილი ორმხრივი ხელშეკრულებებით იყიდება, რომლებიც შეიძლება იყოს მოკლევადიანი (1-თვიანი) ან გრძელვადიანი (5-წლიანი). ხელშეკრულებები ფორმდება ელექტროენერგიის მიმწოდებელს, ტრეიდერს ან პირდაპირ მომხმარებლებსა და წარმოების ლიცენზიანტებს შორის. გადახდებიც ამ მხარეებს შორის ხდება პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე. სხვაობას პირდაპირი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ელექტროენერგიის მოცულობასა და ელექტროენერგიის რეალურად გამოყენებულ მოცულობას შორის აბალანსებს ესკო სხვაობის ოდენობის ყიდვა-გაყიდვით. მიუხედავად იმისა, რომ დღით ადრე დადღიური ბაზრები 2024 წლის 1 ივლისს ამოქმედდა, ჯერ კიდევ გაურკვეველია, თბოელექტროსადგურები როგორ მიიღებენ მასში მონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მონაწილეობას მიიღებს ელექტროენერგიის ორგანიზებულ ბაზრებზე ან იქნება ავარიული რეზერვის მიმწოდებელი, კომპანიის შემოსავლების წყარო სავარაუდოდ არ შეიცვლება.

კომპანიის განვითარების გეგმები

2025 წელს კომპანია გეგმავს 1.6 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას აირტურბინის კაპიტალურ შეკეთებაში, რათა უზრუნველყოს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტაბილური მიწოდება 335 დღის განმავლობაში.


კვლევა და განვითარება

2024 და 2023 წლებში კომპანიის კვლევა-განვითარებასთან დაკავშირებით ინოვაციური პროექტები არ დაფიქსირებულა.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები


თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება ხასიათდება სეზონურობით და დამოკიდებულია ელექტროსისტემის საჭიროებაზე. კომპანიის ელექტროენერგიის საშუალო წლიური წარმოება 2024-2023 წლებში შეადგენდა 83.0 გვტს-ს.

ცხრილი № 5




2024 წელს EBITDA-ს მარჯა, წინა წელთან შედარებით, 3%-ით შემცირდა. კომპანია შემოსავალს იღებს ორი წყაროდან: შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვიდან და შემოსავალი წარმოებული ელექტროენერგიის გაყიდვიდან, რომელთა მონაცემებიც გაიზარდა 2023 წელთან შედარებით. 2019 წლის 1 დეკემბრიდან ელექტროენერგიის გასაყიდი ტარიფები ყოველთვიურად ცხადდება (ცხრილი № 7), რათა შეასუსტოს ვალუტის მერყეობის უარყოფითი გავლენა. შესყიდული გაზის ტარიფი გამოხატულია აშშ დოლარში, გასაყიდი ტარიფები ყოველთვიურად ლარში ცხადდება. წარმოებიდან მიღებული შემოსავალი გამოიყენება შესყიდული გაზის პირდაპირი დანახარჯების დასაფარად.

ცხრილი № 6




ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ცხრილში მოცემულია სემეკის მიერ 2024-2023 წლებში დაწესებული ელექტროენერგიის წარმოების ტარიფები (თეთრი/კვტსთ):

ცხრილი № 7

კომპანია ელექტროენერგიის წარმოებისთვის ბუნებრივ გაზს ყიდულობს. შესყიდული გაზის მოცულობის წლიური დინამიკა გვიჩვენებს, რომ კომპანიის საქმიანობა სეზონურია და წარმოებული ელექტროენერგიის მოცულობა იზრდება ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად.

ცხრილი № 8

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე

როგორც ზემოთ აღინიშნა, სემეკი ადგენს ტარიფებს წარმოებული ელექტროენერგიის წარმოების და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს უზრუნველყოფისთვის. ტარიფების დადგენა და რეგულირება სემეკის მთავარი ფუნქციაა. წარმოებული ელექტროენერგიიდან შემოსავალი დამოკიდებულია გაყიდული ელექტროენერგიის მოცულობაზე. გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მიიღება გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის რეჟიმში გატარებული დღეების რაოდენობის გამრავლებით დადგენილ დღიურ ტარიფზე. გარანტირებული სიმძლავრის გასაყიდი დღიური ტარიფი 2024 წელს იყო 45,537 ლარი, რაც, 2023 წლის 41,106 ლართან შედარებით, გაზრდილი მაჩვენებელია. 2024 წელს გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის რეჟიმში კომპანიამ 336 დღე გაატარა. უნდა აღინიშნოს, რომ, კანონის თანახმად, კომპანია წლის განმავლობაში 30 კალენდარულ დღეს უთმობს სარემონტო სამუშაოებს, ხოლო დანარჩენს კი ატარებს გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის რეჟიმში.

ცხრილი № 9

წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაცია (2024 წ.)				გარანტირებული სიმძლავრე (2024 წ.)		
თვე	წარმოებული ელექტრო-ენერგია (კვტსთ)	ტარიფი (თეთრი/კვტსთ)	შემოსავალი (ლარი)	რაოდენობა (დღე)	ტარიფი (ლარი/დღე)	შემოსავალი (ლარი)
იანვარი	8,548,661	17.853	1,526,192	31	45,537	1,411,647
თებერვალი	5,570,076	17.811	992,086	29	45,537	1,320,573
მარტი	-	-	0	31	45,537	1,411,647
აპრილი	3,382,066	18.023	609,550	30	45,537	1,366,110
მაისი	-	-	0	31	45,537	1,411,647
ივნისი	-	-	0	30	45,537	1,366,110
ივლისი	377,328	19.116	72,130	31	45,537	1,411,647
აგვისტო	22,873,554	18.186	4,159,686	28	45,537	1,275,036
სექტემბერი	20,454,148	18.668	3,818,380	30	45,537	1,366,110
ოქტომბერი	7,748,252	18.688	1,447,993	31	45,537	1,411,647
ნოემბერი	4,645,982	18.908	878,462	30	45,537	1,366,110
დეკემბერი	216,491	16.380	35,461	4	45,537	182,148
სულ	73,816,556		13,539,940	336		15,300,432

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

„კომპანია კარგად აცნობიერებს თავის სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი ქმედებებით მაქსიმალურად აღმოფხვრას და თავიდან აიცილოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. აღნიშნულის ფარგლებში ჯიფაუერის მუდმივად (კვარტალში ერთხელ) ატარებს ატმოსფერული ჰაერისა და ჩამდინარე ტექნიკური წყლის მონიტორინგს.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტი, რომელიც გარემოს დაცვის გაუმჯობესებას ემსახურება:

1. გარემოსდაცვითი რეგულაციების შესრულებაზე მუშაობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;
2. ნარჩენების მართვის გეგმის განახლება და პროექტის წარდგენა სამინისტროში შესათანხმებლად;
3. GHG ემისიების გაზომვა 4 წერტილზე ჯიფაუერზე - კვარტალში ერთხელ;
4. ჩამდინარე წყლის ქიმიური ანალიზი ჯიფაუერზე - კვარტალში ერთხელ;
5. სახიფათო მყარი ნარჩენების გატანა 597 კგ-ს ოდენობით;

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

გარდა ზემოაღნიშნულისა 2024 წელს გაგრძელდა შემდეგი სახის ანგარიშგებების წარდგენა საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში:

1. კომპანიის ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების მომზადება და სამინისტროში წარდგენა.
2. წიაღით სარგებლობის სტატისტიკური ფორმების მომზადება და სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოში წარდგენა;

კომპანიის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენი მისი თანამშრომლებია. ამიტომ პრიორიტეტი ენიჭება ადამიანური რესურსების ჯეროვან მართვას და საწარმოში საკადრო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებას. დღესდღეობით „ჯიფაუერში“ 22 ადამიანია დასაქმებული. თანამშრომელთა მოტივირება, მათი ტრენინგი-განვითარება, სათანადო პირობების შექმნა, დისციპლინისა და სამუშაოსადმი თავდადების შემუშავება განმსაზღვრელი და აუცილებელი ფაქტორია იმისათვის, რომ საწარმომ დასახულ მიზნებს მიაღწიოს. კომპანია აქტიურად მონაწილეობს სოციალურ ცხოვრებაში და ახორციელებს შემდეგ სოციალურ პროექტებს.

- ▶ **ენერგოეფექტორის პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის** – სამიზნე ჯგუფებია მოსწავლეები და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები. პროექტის მიზანია მათი დაინტერესება ამ სფეროთი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით და ასევე თბოეფექტროსადგურების მონახულებითა და პრეზენტაციების წარმოდგენით.
- ▶ **თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი შიდა და გარე ტრენინგები** – თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის კომპანიას შექმნილი აქვს სპეციალური სატრენინგო ბაზები, სადაც ტარდება თეორიული და პრაქტიკული სწავლება შრომის უსაფრთხოების შესახებ. ასევე ტარდება სხვა შიდა და გარე ტრენინგები, რომლებიც თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება.
- ▶ **თანამშრომელთა მოტივირება** – კომპანია თითოეულ თანამშრომელს უფინანსებს ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და უბედური შემთხვევებისგან დაზღვევას. თანამშრომელთა წახალისება მუდმივად ხდება ფულადი და არაფულადი კომპენსაციით.
- ▶ **სამუშაო გარემო** – კომპანიის ხელმძღვანელობა ზრუნავს თანამშრომლებისთვის ოპტიმალური სამუშაო გარემოს შექმნასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. ითვალისწინებს რა ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდებსა და სტანდარტებს, კომპანია საკადრო პოლიტიკას ახორციელებს შრომითი რეგულაციების მიხედვით, რომლებითაც განისაზღვრება შრომითი ურთიერთობის დარეგულირება, კადრების შერჩევა, თანამშრომელთა განვითარება, შრომის ანაზღაურება და წახალისება, თანამშრომელთა დაცვა-უსაფრთხოება და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
- ▶ **სამუშაოს მიღმა** – კომპანია დროდადრო აწყობს სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებას და შეხვედრას სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებლად და კორპორატიული კულტურის განსავითარებლად. ასეთი მიდგომით ჩვენ ვწერგავთ გუნდურ სულისკვეთებას და ვქმნით გარემოს, სადაც თანამშრომლები ერთმანეთს ეხმარებიან და ნდობას უცხადებენ.
- ▶ **კარიერული განვითარება** – კომპანია ახალი თანამშრომლების ასაყვანად ეყრდნობა თანამედროვე პროცედურებს, რაც მოიცავს კანდიდატების ძებნას, შეფასებას, შერჩევას და ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნას. ვაკანტური თანამდებობებისთვის ჯერ შიდა კანდიდატები განიხილებიან. შიდა კანდიდატების არარსებობის შემთხვევაში, ახალი თანამშრომელი გარე კანდიდატებიდან შეირჩევა. კანდიდატის საბოლოო შეფასება ხდება ვაკანსიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლებიც შეეხება განათლებას, სამუშაო გამოცდილებას და პროფესიულ ცოდნას, ბიზნესუნარებს და თვისებებს, ზოგად უნარებს და ტექნიკურ უნარებს. კომპანიის ხელმძღვანელობა გამოცდილი პროფესიონალების დახმარებით ახორციელებს ახალბედა თანამშრომლებს დატრენინგებას და განვითარებას. კომპანიის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა თაობის ცოდნის გაღრმავება, რასაც კომპანია ახორციელებს თავისივე- მაღალკვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების მხარდაჭერით.

ეს მიმართულებები კომპანიის ბიზნესსტრატეგიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია. ისინი დღემდე წარმატებით და ეფექტურად მუშაობს, რაც მომავალში მათი გაგრძელების და განვითარების საწინდარია.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები

ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. კომპანიას აქვს მცირედი სავალუტო რისკი, ვინაიდან მისი საოპერაციო ხარჯებისა და ნასესხები სახსრების უდიდესი ნაწილი ლარშია გამოხატული. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების „ფინანსური რისკების მართვის“ შენიშვნებში.

ბიზნესის რისკის მართვა


კომპანიის მთავარი საოპერაციო და იურიდიული რისკები უკავშირდება საქართველოს მარეგულირებელ გარემოს და ეკონომიკურ სიტუაციას. კომპანია რეგულირებული ერთეულია, შესაბამისად, მის შემოსავალზე გავლენას ახდენს „ენერგეტიკის შესახებ“ კანონსა და ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებები.

ენერგოსექტორში მიმდინარე მოვლენები, განსაკუთრებით, საკანონმდებლო ცვლილებები, მნიშვნელოვნად მოქმედებს კომპანიაზე. საქართველოს ენერგოსექტორში გრძელდება ფუნდამენტური ცვლილებები. ახალი კანონის მიხედვით კომპანიას უკვე დაეკისრა საჯარო მომსახურების ვალდებულება, თუმცა კვლავ დასამტკიცებელი რჩება „გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის მიზნით საჯარო მომსახურების ვალდებულების განხორციელების წესი“. ეს წესი დაარეგულირებს თბოელექტროსადგურების ბაზარზე მონაწილეობის წესსა და პირობებს, მის მიერ საჯარო მომსახურების ვალდებულების ფარგლებში შესასრულებელ აუცილებელ მოთხოვნებს, მზადყოფნის დადასტურებისა და გაწეული მომსახურების ანაზღაურების/ანგარიშსწორების წესს.


ამასთან ერთად, 2024 წლის 1 ივლისს ამოქმედდა, დღით ადრე და დღიური ბაზრები. ჯერ კიდევ გაურკვეველია, თბოელექტროსადგურები მიიღებენ თუ არა მათში მონაწილეობას. ასევე 2025 წლის 1 ივლისიდან ფუნქციონირებას დაიწყებს საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრები, რაც ნიშნავს, რომ ბაზრის მონაწილეებს შესაძლოა წარმოექმნას ვალდებულება ნომინირებული ვაჭრობის მოცულობის და ფაქტიური წარმოების გადახრების არსებობის შემთხვევაში დაეკისროს უბალანსობაზე პასუხისმგებლობა, რაც დამატებით საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს. თუმცა კომპანიას უნდა მიენიჭოს ავარიული რეზერვის სტატუსი. ავარიული რეზერვის წყაროდან გააქტიურებული საბალანსო ელექტროენერგია ანაზღაურდება სემეკის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად კომისიის მიერ ავარიული რეზერვის თითოეული წყაროსთვის გაანგარიშებული ელექტროენერგიის ტარიფით. ავარიული რეზერვის გააქტიურების კონკრეტულ დროს და გასააქტიურებელი ავარიული რეზერვის მოცულობას განსაზღვრავს გადამცემი სისტემის ოპერატორი. ეს ყველაფერი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

ძირითადი მმართველობითი ფუნქციები უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რათა ზემოაღნიშნული რისკფაქტორები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 12 ივნისს.


მიხეილ ბოგვაძე
გენერალური დირექტორი

2025 წლის 12 ივნისი
თბილისი, საქართველო


ქრისტინე წერეთელი
ფინანსური მენეჯერი

2025 წლის 12 ივნისი
თბილისი, საქართველო